პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 267 (9427) | ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში განვლილ წელს მიღწეული ახალი წარმატებანი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სოციალიზმის გზით განვითარების წარმატებანი, მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცება თვალსაჩინოდ ადასტურებენ ლენინ — სტალინის მოძღვრების დიდ სიმართლეს და ყოვლისმძლე ძალას.

ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ შესრულების შემოწმება

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ გეგმებს. პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებნი საბჭოთა ადამიანებს აღფრთოვანებენ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული მუშაობის განუხრელ სრულყოფას, მათი ხელმძღვანელი მოღვაწეობის დონის ამაღლებას. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარი საქმეა ადამიანთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება. ჩვენი პარტია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციას, მათი შესრულების შემოწმებას.

„ბამარჯვება, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — არასოდეს არ მოდის თვითთონ, — ჩვეულებრივად მას ბრძოლით მოიპოვებენ ხოლმე. კარგი რეზოლუციები და დეკლარაციები პარტიის გენერალური ხაზის სასარგებლოდ — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია, რადგან ისინი ნიშნავენ მხოლოდ გამარჯვების ხუროვილს და არა თვით გამარჯვებას. მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე“.

პარტია მუდამ ზრუნავს ადამიანთა შერჩევისა და შესრულების შემოწმების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ფაქტები ცხადყოფენ, ამბობდა ამხ. გ. მ. მალენკოვი საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომ ადამიანების სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილად მთავარი საქმე ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაობაში.

ცენტრის დირექტივებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების ცუდი ორგანიზაცია, მათი შესრულებისადმი სათანადო კონტროლის უქონლობა საბჭოთა, სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ღრმად ფესვგადგმული ნაკლოვანებაა. ჩვენს ორგანიზაციებს და დაწესებულებებს გამოაქვთ გაცილებით მეტი სხვადასხვა გადაწყვეტილება, დირექტივები და ბრძანებები, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, სრულდება თუ არა ისინი და როგორ სრულდება. საქმის არსი კი ის არის, რომ ისინი შესრულდეს არა ბიუროკრატულად, არამედ სწორად, ფართოდ განხილდეს თვითკრიტიკა და მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა, გადაჭრით აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებანი.

ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს თვალსაჩინო ადგილი უკავია პარტიული ორგანიზაციების აქტივის ახლანდელ კრებებზე, რომლებიც მიძღვნილია პარტიის XIX ყრილობის შედეგების განხილვისადმი. კომუნისტები თავიანთ გამოსვლებში გადაჭრით ამხილებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს, მკვეთრად აკრიტიკებენ იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც მეტს ზრუნავენ ყოველგვარი დირექტივების გამოცემისათვის, ვიდრე მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ქალაქ კიევის პარტიული აქტივის კრებაზე პარტიის საოლქო კომიტეტი და საქალაქო კომიტეტი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ისინი ცუდად უწევენ კონტროლს თავიანთ გადაწყვეტილებათა შესრულებას. მაგალითად, აღინიშნა, რომ თავის დროზე საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა გამოიტანეს გადაწყვეტილებანი წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცების შესახებ. ბევრმა საწარმომ მაშინ ხელშეკრულება დადო სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა მალე დავიწყეს თავიანთი გადაწყვეტილებანი, არ შეამოწმეს მათი შესრულება, და დიდმნიშვნელოვანი თაოსნობა ფაქტიურად არარად იქცა.

ქალაქ რიაზანის პარტიული აქტივის კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ცალკეული ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები ფორმალურად ეკიდებიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. პარტიის ქალაქის რკინიგზის რაიკომმა სამჯერ დაავალა სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობას მიეღო ღონისძიებანი მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხნის მუშათა სანიანო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ არ უზრუნველყო ამ გადაწყვეტილებათა შესრულება. პარტიის რაიკომი ურიგდებოდა ასეთ არანორმალურ მდგომარეობას. ეს იცოდა პარტიის საქალაქო კომიტეტმაც. ისიც გვერდს უვლიდა პარტიული გადაწყვეტილებებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელების ფორმალურ-ბიუროკრატული დამოკიდებულების ფაქტებს.

მთელი პარტიული და სახელმწიფო მუშაობის დონის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული შესრულების შემოწმების საქმის გაუმჯობესებასთან, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლასთან. ჩამოთვალნა რა პარტიის შემდგომი განმტკიცების ამოცანები, ამხ. გ. მ. მალენკოვმა XIX ყრილობაზე მოხსენებაში აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა ღონისძიებით გაძლიერდეს შესრულების კონტროლი და შემოწმება თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში, გაძლიერდეს ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, შესრულების ზემოდან შემოწმება შეეხამოს პარტიული და უპარტიო მასების მხრივ ქვემოდან შემოწმებას. ადამიანთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება ნამდვილად უნდა გახდეს მთავარი საქმე ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ საქმიანობაში.

პარტიული კონტროლი და შესრულების შემოწმების ყველა ღონისძიებით გაძლიერების საჭიროება ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომელიც თვითეული კომუნისტს ავალებს

„იქუმს აქტიური მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. პარტიის წევრისათვის საკმაო არ არის მარტო ის, რომ ემთანხმებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის წევრი მოვალეა იბრძოდეს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტების პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან“.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სწორი რეზოლუციები და გზავნო დირექტივები. ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ ვამოწმებდეთ დირექტივების შესრულებას, და არა მარტო დირექტივების შესრულებას, არამედ თვით დირექტივებს, მათს სისწორეს ან მცდარობას ცოცხალი პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით. შესრულების შემოწმების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ უკანონობანი, რჩევით დავეხმაროთ პატიოსან მუშაკებს, გაუსწორებელნი დავსაჯოთ და მივაღწიოთ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას. შეუწყნარებელია ბიუროკრატული მიდგომა შესრულების შემოწმების საქმისადმი, არ უნდა გვეშინოდეს გავაუქმოთ თუ გამოვასწოროთ მიღებული გადაწყვეტილება, თუ გამოირკვევა მისი მცდარობა ან არასაზუსტე.

შესრულების შემოწმება განუხრელად არის დაკავშირებული კადრების შერჩევის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ამოცანასთან. შემოწმების შედეგების შესაბამისად საჭიროა გადავაყენოთ ცუდი, უვარგისი, ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მუშაკები და ისინი შევცვალოთ საუკეთესო, ვარგისი, მოწინავე, პატიოსანი ადამიანებით. შესრულების შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ახალი ადამიანების დაწინაურებას, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ საქმე და რომლებიც სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგანან.

ყველა ღონისძიებით რომ გავაძლიეროთ შესრულების კონტროლი და შემოწმება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში, უკლებლივ ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობაში, საჭიროა გავაძლიეროთ მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის. შესრულების შემოწმების სათავეში უნდა იდგნენ არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ ნაკმაოდ ავტორიტეტიანი ადამიანები — თვით ორგანიზაციების ხელმძღვანელები. შესრულების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად. საჭიროა გვახსოვდეს, რომ დავალებათა შესრულების შემოწმება ნიშნავს არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით მათს შემოწმებას, არამედ უწინარეს ყოვლისა შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით მუშაობის ადგილებზე მათ შემოწმებას.

ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები შესრულების შემოწმების საქმეში მთელი თავიანთი მუშაობის დროს მოწოდებული არიან დაეყრდნონ შრომელთა ფართო მასებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივი საბჭოების აქტივს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ხელმძღვანელთა მარტოოდენ გამოცდილება არ კმარა იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, რომ საჭიროა ხელმძღვანელთა გამოცდილება შეივსოს მასების გამოცდილებით, პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით. მხოლოდ შესრულების ზემოდან შემოწმების შეხამება პარტიული და უპარტიო მასების მხრივ ქვემოდან შემოწმებასთან უზრუნველყოფს ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ნაკლოვანებათა დროზე აღმოფხვრას.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ფორმალური, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ბიუროკრატიზმი გარდუვალად წარმოიშობა იქ, სადაც შესუსტებულია მასების კონტროლი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი, სადაც ახშობენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, უზრუნველყოთ, რომ ყველა პატიოსან ადამიანს შეეძლოს გაბედულად და უშიშრად გააკრიტიკოს ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ნაკლოვანებანი.

შესრულების შემოწმების, ისევე როგორც ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზაციული მუშაობის ყველა ღონისძიებით გაუმჯობესება მეურნეობისა და კულტურის ყველა უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების, კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია.

„პრავდის“ 11/XI მოწინავე

საქართველოს ცემენტის ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა თვიური გეგმა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში საქართველოს ცემენტის ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. პაპიაშვილი და ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მათეშვილი იუწყებიან, რომ ცემენტის გამოშვების ოქტომბრის გეგმა საწარმომ 105,6 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ასობით ტონა ცემენტი. (საქდესი).

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის

მეგზი მარგანეცისათვის მებრძოლნი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული. დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 28 ოქტომბრისათვის შეასრულა თერთმეტი თვის დავალება და მას შემდეგ მარგანეცს დეკემბრის ანგარიშში იძლევა. წარმატებით მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც კ. სებისკვერაძე, ბ. გაბაძე და კ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობენ. პირველი უბნის კოლექტივმა თერთმეტი თვის გეგმა 13 ოქტომბერს გაანაღდა

წარმატებით მუშაობს ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც რამდენიმე თვეა ინარჩუნებს მარგანეცის ტრესტისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

სტალინის სახელობის მაღაროში კვლავ წარმატებით მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც ამხ. ყვავაძე, სამხარაძე და ჭოლაძე ხელმძღვანელობენ. ამხ. ყვავაძის უბნის კოლექტივი უკვე 1953 წლის ანგარიშში იძლევა მარგანეცს. 7 ნოემბრისათვის წლიური გეგმა შეასრულა ბ. სამხარაძის უბანმა. ამ უბანში მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი სტახანოველი ტ. ფოფხაძე. მან პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ დღეებში მტვირთავ მანქანაზე დაიწყო მუშაობა და ცვლაში გეგმის გადამეტებით 30-40 ტონა მარგანეცს ტვირთავს.

მაღაროელებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმა ვადამდე შეასრულონ.

მეორთქმამავლეთა მიღწევები

ბათუმი. (საკ. კორ.). საორთქმავლო დეპოს კოლექტივი გულდასმით გაეცნო მეხუთე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე დასახულ ამოცანებს და ენერგიული ბრძოლა გააჩაღა იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ ამოცანების სასახელოდ განხორციელების საქმეში.

ჯერ კიდევ 21 ოქტომბრისათვის დეპოელებმა შეასრულეს ორთქმავლების გარეცხვითი შეკეთების თვიური დავალება და ოქტომბერში 12 ორთქმავლის ნაცვლად გარეცხვითი შეკეთებიდან 20 ორთქმავალი გამოუშვეს.

მაღალნაყოფიერად შრომობენ მეთანქანეთა ბრიგადები. უფროსი მეთანქანის დ. ნაკაშიძის ბრიგადამ ოქტომბრის მარტო ორ დეკადაში 9.860 კილოგრამი საწვავი დაზოგა. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია უფროსი მეთანქანის ა. კიკაჩეიშვილის ბრიგადამაც, რომელმაც იმავე პერიოდში 5.600 კილოგრამი საწვავი დაზოგა. სულ ოქტომბერში დაზოგეს რამდენიმე ათეული ტონა საწვავი.

სტახანოვურად შრომობენ ზეინკალთა ის ბრიგადები, რომელთაც დეპოს მოწინავე ადამიანები ა. ჩხაიძე და შ. მალაზონია ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები დღეში ორ ნორმას ასრულებენ.

ბათუმელი მეთანქანეები პირობას იძლევიან უზრუნველყონ წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.

ტყვარჩელელ მეშახტეთა მიმართვის საპასუხოდ

ახალციხე. (საკ. კორ.). ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის ახიბლარის № 4 შახტის კოლექტივის მიმართვას აქტიურად დაუჭირეს მხარი ახალციხელმა მეშახტეებმა. შედგა № 2 შახტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეთა კრება. ტყვარჩელელ მეშახტეთა მიმართვა კრებას გააცნო შახტის უფროსმა ამხ. გ. ძიძიგურმა.

— ჩვენმა შახტმა, — თქვა მან, — უკვე რამდენიმე თვეა თავი დააღწია ჩამორჩენას, ყველა პროფესიის მეშახტემ კარგად აითვისა სამთო ტექნიკა და მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში ჩადგა. განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ზუსტად წარმოებს ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა. ამის შედეგად მეორე შახტი ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით აძლევს სათბობს სამშობლოს, მაგრამ მიღწეული წარმატება საკმაო არ არის. ჯერ კიდევ კარგად არა გვაქვს დანერგილი მუშაობის ციკლური და ჩქაროსნული მეთოდები. მექანიზებული არ არის ყველა შრომატევადი სამუშაო. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით ჩვენ შევძლებთ ვადაზე ადრე შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმა. მხარს ვუჭერ ახიბლარის № 4 შახტის კოლექტივის ინიციატივას და მოგიწოდებთ ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი შახტისათვის დადგენილი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

სიტყვა აიღო ქვანახშირის მნგრეველმა გ. გუბელაძემ, რომელმაც იკისრა ქვანახშირის მონგრევის ცვლის ნორმა ყოველდღიურად შეასრულოს არანაკლებ 150 პროცენტისა. მან წინადადება წამოაყენა მეორე შახტისათვის დადგენილი ხუთწლიანი გეგმა შესრულებულ იქნას 3 წლისა და 8 თვის განმავლობაში.

დღიური ნორმების 150-200 პროცენტით განაღდება იკისრეს მნგრეველებმა ა. შუბითიძემ და ხ. აგაჯანიანმა. ცვლის უფროსმა ს. ელიზბარიანმა იკისრა ცვლის დავალება შეასრულოს 130-140 პროცენტით.

№ 2 შახტის მეშახტეებმა გადაწყვიტეს ქვანახშირის ამოღების თავიანთი ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 8 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით, ნაცრიანობა ერთნახევარი პროცენტით, ფართოდ დანერგონ მექანიზაცია.

ახალციხელმა მეშახტეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი.

განვამტკიცოთ საოქტომბრო შეჯიბრებით მოპოვებული წარმატებანი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს.

დიადი დღესასწაულის წინა დღეებში კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა ქუთაისი — რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი. სტალინის ქუჩაზე, რომელიც ქალაქის ნამდვილი მშვენებაა, დააგეს ასფალტის ახალი ფენა. ამ ქუჩის ერთ კილომეტრზე წყალტუბოს მემართულებით ორივე მხარეზე გაშენდა ყვავილნარი. „სოიუზტრანსის“ საქალაქო კანტორასთან მოეწყო სკვერი. კეთილმოწყობილი გახდა თბილისის, გორის, ჯაფარიძის, შაუმიანის, მერკვილაძის და მთელი რიგი სხვა ქუჩები. მშრომელთა აქტიური მონაწილეობით იპოდრომიდან საავადმყოფომდე ამოთხარეს 80 ათასამდე ორმო, სადაც დაირგვება სხვადასხვა ჯიშის მცენარეები. ძირითადად დამთავრებულია ნინოშვილის ბაღის რეკონსტრუქცია.

ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა პირნათლად შეასრულეს სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებანი. სამშობლომ დიდძალი რაოდენობით მიიღო ქუთაისის მარკის ქსოვილები, ფეხსაცმელი, საშახტე მოწყობილობა, ლიტოპონი, კვების პროდუქტები. აბრეშუმის კომბინატმა გეგმის გადამეტებით დაამზადა ათეულ ათასობით მეტრი ქსოვილი, მანქანათმშენებელმა ქარხანამ ნახევარი მილიონი მანეთის საშახტე მოწყობილობა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა — 2.500 წყვილი ფეხსაცმელი, ლიტოპონის ქარხანამ — 232 ტონა ლიტოპონი.

რესპუბლიკის სიამაყის — საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მთავარი კონსტრუქტორის, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის ა. კრიგერის ხელმძღვანელობით შექმნა „კაზ-585-ბ“ მარკის თვითსაცლელი ავტომანქანის ახალი საამწეო მექანიზმი. ეს მექანიზმი, რომელიც პირველად ქუთაისის ავტოქარხანაში დამზადდა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მანქანის ექსპლოატაციას.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ შემდგომ გაამრავლონ დიდი ოქტომბრის წინა დღეებში მოპოვებული წარმატებანი, უზრუნველყონ მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

აღიდგენენ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას

გორი. (საკ. კორ.). გორის მშრომელები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს. ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა ათი თვის დავალება 102,4 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 618 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სართავმა ფაბრიკამ ათ თვეში 11 ტონა ზეგეგმითი ნართი დაამზადა და 40 ტონამდე ბამბა დაზოგა. წარმატებით იმუშავა საქსოვმა ფაბრიკამ, რომელმაც გეგმის გადამეტებით 370 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი გამოუშვა და აითვისა ახალი სახის ქსოვილის — სატინის ქსოვის ტექნოლოგია.

გორის საკონსერვო ქარხანამ ათი თვის გეგმა 102,4, ხოლო ოქტომბრისა — 117,5 პროცენტით შეასრულა. უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 105,4 პროცენტით.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა.

ელბაქიძის ხიდზე მოძრაობა უნდა გაიხსნას წლის ბოლოსათვის

ვინც ამ რამდენიმე თვის წინათ ყოფილა ელბაქიძის ხიდის მშენებლობაზე, მან ახლა იგი რომ ნახოს, განცვიფრებული დარჩება მშენებელთა წარმატებით.

მაშინ მშენებლებს სამუშაო მხოლოდ 30 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული, ხშირი იყო გაცდენა, დროის ფუჭად დაკარგვა. ამის გამო ხიდის მშენებლობის დამთავრება წლის ბოლოსათვის საეჭვო იყო. ზაფხულიდან წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ყველა სამშენებლო სამუშაოთა შესრულება მშენებლებისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ წინდახედულობას, დარაზმულობას, თავდადებულ შრომას.

ივლისიდან მშენებლები შეუდგნენ ჩამორჩენის გამოსწორებას, გადავიდნენ განუწყვეტელ სადღეღამისო მუშაობაზე, მიზანშეწონილად გაანაწილეს ძალები, ფართოდ დანერგეს მოწინავე მეთოდებით მუშაობა.

პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხიდის მშენებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ახალი ძალით გააჩაღეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და მოკლე დროში შეძლეს ჩამორჩენის ლიკვიდაცია. ახლა ხიდის სამშენებლო უბანზე მშენებლობა მიმდინარეობს ზუსტად დაწესებული გრაფიკის მიხედვით.

10 ნოემბერს მშენებლებმა უკვე დაამთავრეს მარჯვენა თაღის დაბეტონება. ამით დამთავრდა ბეტონის ძირითადი სამუშაოები და დაიწყო თაღის ზემოთა ნაწილის რკინაბეტონით შემოსვა და კოჭების გაწყობა. ამ სამუშაოების პარალელურად დაწყებულია ხიდის კორპუსის მოპირკეთება ქვით.

მშენებელთა შორის მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან გ. ბეგლარიშვილის, ბ. ქვლივიძის, ტ. იმხნელის, ი. ღავრელაშვილის და მ. წიკლაურის მებეტონეთა ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. დავალებას ორმაგად ასრულებენ დურგლები ს. სუთიძე და ს. სმირნოვი.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ პირველი დეკემბრისათვის ხიდის სასაარაულო ნაწილი მოამზადონ მოსაასფალტებლად, ხოლო 25 დეკემბრისათვის ხიდი საექსპლოატაციოდ გადასცენ. საჭიროა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველომ (მმართველი ვ. მარშანია) დროზე დაამთავროს ხიდის მისასვლელების გამზადება, ხოლო თბილისმშენმა მშენებლებს შეუფერხებლად მიაწოდოს მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები.

მშენებლობის ხელმძღვანელების ღირსების საქმეა დანიშნული ვადისათვის უზრუნველყონ ხიდის გახსნა.

ზ. ბასილაშვილი.

გეგმების შესრულება

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა 4 ნოემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა.

* * *

ცაგერის რაიონმა 2 ნოემბრისათვის შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარა 3.000 ცენტნერი ყურძენი.

* * *

ჭიათურის რაიონმა 5 ნოემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

* * *

ლანჩხუთის რაიონმა 5 ნოემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის ჩაბარებათა გეგმები: პურის — 257,5 პროცენტით, ხორცის — 146, რძის — 100,5, მსხვილი ტყავის — 159, წვრილი ტყავის — 103, კურკოვანი ხილის — 145 პროცენტით და თესლოვანისა კი 103,6 პროცენტით. ჩაბარება გრძელდება.

* * *

ზუგდიდის რაიონმა 1 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის მეაბრეშუმეებმა ვალდებულება აიკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 4.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

* * *

ახალციხის რაიონმა 1 ნოემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა.

სახელმწიფოს ჩაბარდა 200 ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე გასული წლის ამავე რიცხვისათვის.

ამავე რაიონმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის ჩაბარებათა გეგმები: ხორცის — 101 პროცენტით, რძის — 100, კვერცხის — 101, ბრინჯა ყველის — 103, მატყლის — 100 და თივის — 130 პროცენტით. დამზადება გრძელდება.

* * *

ქარელის რაიონმა 5 ნოემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა.

ამავე რაიონმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის ჩაბარებათა გეგმები: ხორცის 103,3 პროცენტით, მატყლის — 102,7, ბრინჯა ყველის — 101,1, კარტოფილის — 120, თივის — 112,7, მრავალწლიანი ბალახის თესლისა — 122 პროცენტით.

* * *

ახალქალაქის რაიონმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმები: რძის — 100,7 პროცენტით, კვერცხის — 101,9 პროცენტით, რძისა და კვერცხის ჩაბარება გრძელდება.

* * *

ზესტაფონის რაიონმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები: ცხენის 120 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის — 100, ცხვრისა და თხის — 103, ღორის — 100 პროცენტით.

* * *

ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 1 ნოემბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება აიღო სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 500 ცენტნერი ყურძენი.

ზუგდიდის ფორფის ქარხანამ ვადამდე შეასრულა ფორფის სასუქის დამზადების წლიური გეგმა

ზუგდიდის ტორფის ქარხანამ 31 ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა: ტორფის სასუქის დამზადებისა 110 პროცენტით, დამოზიდვისა და გადამუშავებისა — 100,8 პროცენტით და რეალიზაციისა — 108 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ წლიური გეგმის გადამეტებით დამზადებს 12 ათას ტონა ტორფფოსფორის სასუქს, გამოზიდავს, გადაამუშავებს და რეალიზაციას უზამს 10 ათას ტონას.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 10 ნოემბრის ცნობებით

რაიონების დასახელება	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმის	102.3
ქობულეთის	100,9
ქედის	113,3
სულ აჭარის ასსრ-ში	**101,8**
გალის	87,4
ოჩამჩირის	85.8
გულრიფშის	89,3
სუხუმის	73,1
გუდაუთის	101,5
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**88,0**
მახარაძის	94,1
ჩოხატაურის	81,3
ლანჩხუთის	87 5
სამტრედიის	77,4
წულუკიძის	73,9
ქუთაისის	81,3
წყალტუბოს	61,3
ტყიბულის	75,2
ცხაკაიას	71,1
აბაშის	58,9
გეგეჭკორის	92,9
ზუგდიდის	91,3
წალენჯიხის	97.4
ჩხოროწყუს	80,8
ხობის	78,8
თერჯოლის	69,8
ზესტაფონის	65,6
სულ ქუთაისის ოლქში	**88,0**
სულ საქართველოს სსრ-ში	**90,3**

მახარაძის რაიონის

ადამიანები, რომელთა შრომა მისაბაძია

ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატები

შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ უხვი მოსავლის მოყვანით თავი ისახელა ამხ. გიორგი ბუჩუკურის ბრიგადამ. მან 666 ჰექტარი მიწიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 24 ცენტნერი, ხოლო 128 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა 32 ცენტნერამდე აიყვანა. ახლა ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს 1953 წელს ჰექტარზე მოსავლიანობა სულ მცირე 28-30 ცენტნერამდე გაადიდოს, ცალკეული ჰექტარისა კი 34-35 ცენტნერამდე. ამ მიზნით ბრიგადაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული.

გიორგი ბუჩუკური

* * *

როგორ აღწევს ამხ. გ. ბუჩუკურის ბრიგადა ხორბლის მოსავლიანობის გადიდებას?

მათი წარმატების საფუძველი ის არის, რომ კოლმეურნეობის აგრონომის ამხ. ნიკოლოზ ბაზერაშვილის დახმარებით ბრიგადა ხორბლისათვის ნიადაგს დროზე და საუკეთესოდ ამუშავებს, მინერალური სასუქებით ნორმალურად ანოყიერებს, თესავს მაღალხარისხოვან თესლს. ბრიგადის წევრები (სულ 60 კაცი) ამ სამუშაოებს საქმის ცოდნით და დაუზარელად აკეთებენ.

ბრიგადა თესავს ძირითადად ისეთ დარაიონებულ ჯიშებს, რომლებსაც არ ახასიათებს ჩაწოლა და მარცვლის ჩაცვენა, კარგად იტანენ ავადმყოფობას, უძლებენ ზედმეტ სიმშრალეს და ნალექებსაც—„ნოვოუკრაინკას“, „კრასნოდარკას“, „კოპერატორკას“ და სხვ.

ბრიგადირმა თავისი უნარიანი მუშაობით ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანა უზრუნველყო როგორც ანეულზე, ისე ნაწვერალზე და საშემოდგომოდ მოხნულზე. ანეული აპრილი და მაისში 23-25 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნეს, შემდეგ იენისსა და ივლისში, აგრეთვე თესვის წინ, სექტემბერში ჩაატარეს კულტივაცია.

რადგან შარშან მშრალი ზაფხული იყო, ნაწვერალი არ აუჩეჩავთ, არამედ ყანის აღებისთანავე წინმხვნელიანი გუთნით ღრმად მოხნეს — ნაწილი 29-30 სანტიმეტრის სიღრმეზე, დანარჩენი კი—23-25 სანტიმეტრზე, და მაშინვე დაფარცხეს. კოლმეურნეებმა ზაფხულის ნახნავიც ისე დაამუშავეს, როგორც ანეული.

ბრიგადაში ნასიმინდარი და მზესუმზირასაგან განთავისუფლებული ფართობების ხორბლისათვის მოხვნა აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში დაამთავრეს. მოხვნისთანავე მთელი ფართობი რკინის ფარცხით გარდიგარდმო დაფარცხეს, 20 ღღის შემოგვიკი 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე აოშეს. ასევე აოშეს ნახნავი თესვის წინ, თან კიდევაც დაფარცხეს და თვითეულ ჰექტარზე სათესი მანქანით 155-160 კილოგრამი თესლი დათესეს, აქედან ნაწილი—ჯვარედინად. აქ ჰექტარზე 200 კილოგრამი თესლი დათესეს ორი მიმართულებით. ე. ი. თესლის ნახევარი ნახნავის გასწვრივ, მეორე ნახევარი კი—მის გარდიგარდმო.

სათესლედ შერჩეული თესლი წინასწარ კარგად გაწმინდეს მანქანით და დაახარისხეს, შეამოწმეს მისი აღმოცენების უნარიც. თესლის სიწმინდე 98-99 პროცენტს უდრიდა, აღმოცენების უნარი კი—95 პროცენტს. თესვა ისე მოაწყეს, რომ ჰექტარზე 5 მილიონამდე ძირი მცენარე შეენარჩუნებინათ და ყოველმხრივ ნორმალურად განვითარებინათ.

მოწინავე კოლმეურნეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თესვის ვადების მტკიცედ დაცვას. შირაქის ველის პირობებში ყველაზე უმჯობესად მიჩნეულია ხორბლის ოქტომბერში დათესვა. მაგრამ იმ მიზნით, რომ დრო მოიგონ და ცუდი ამინდების გამო თესვა არ გაუჭიანურდეთ, ჩვეულებრივად თესვას 15 სექტემბრიდან იწყებენ და 30-40 დღეში ამთავრებენ, ზოგჯერ ბევრად უფრო ადრეც.

უხვი მოსავლის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის განოყიერებას. ამიტომ ბრიგადამ დათესვის წინ ნიადაგის თავისებურებათა მიხედვით თვითეულ ჰექტარზე 300-400 კილოგრამი სუპერფოსფატი, 50-60 კილოგრამი კალიუმის მარილი და 100 კილოგრამი ამონიუმის გვარჯილა შეიტანა.

ნათესებს შემოდგომაზე ერთხელ მარგლავენ ბალახის განვითარების მიხედვით. შემოდგომაზე და ზამთრის განმავლობაში ეწყობა მინდვრის თაგვთან ბრძოლა—ნაკვეთებს ამოწმებენ და ყველა ხვრელს დარიშხანმჟავა კალციუმიან ბალახს ან შესველებულ შხამიან თივას უცობენ. ამ სამუშაოს მანამდე იმეორებენ, სანამ თაგვი სრულიად არ მოისპობა.

ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატებს სავალდებულო ღონისძიებად მიაჩნიათ ნათესების ადრე გაზაფხულზე დამატებით განოყიერება და დაფარცხვა. ჩვეულებრივად ამ სამუშაოს თებერვალში იწყებენ, როგორც კი ნიადაგზე თოვლი დადნება და მიწა ისე შეშრება, რომ მინდვრად მუშაობის დაწყებად გასვლა შესაძლებელი გახდება. ყოველ ჰექტარზე თანაბრად აბნევენ 200 კილოგრამ სუპერფოსფატს და 80 კილოგრამ აზოტოვან სასუქს, შემდეგ კი ჯეჯილს მწკრივების გარდიგარდმო ფარცხავენ.

გაზაფხულზე ჯეჯილს რამდენჯერმე მარგლავენ, სარეველა ბალახებს განვითარებისთანავე თხრიან და ყანიდან გააქვთ. ამიტომ ბრიგადის ნათესები ყოველთვის სუფთაა.

კოლმეურნეები არასოდეს არ ივიწყებენ, რომ უხვ მოსავალს მხოლოდ კარგად დამუშავებული და მოვლილი ყანა იძლევა. მათი კარგი მუშაობის შედეგია, რომ გ. ბუჩუკურის ბრიგადის წევრები წელს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით ათეულ ტონა ხორბალს მიიღებენ.

ამასწინათ წითელწყაროს რაიონის მშრომელები გამოვიდნენ საქართველოს საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორებად და მოწოდებით მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეს, მანქანა-ტრაქტორების სადგურების მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

ამ მიმართვას ამხ. გ. ბუჩუკურმაც მოაწერა ხელი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს მისი ბრიგადის პასუხისმგებლობას ხორბლის მოსავლიანობის გასაიდიდებლად.

აღებული ვალდებულების შესასრულებლად ბრიგადის წევრებმა მთელი ენერგიით გააჩაღეს მუშაობა. ეჭვი არ არის ისინი მომავალ წელს უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებენ.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ალბანეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

ოთხ დღეს დაჰყო საქართველოში ალბანეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ, რომელსაც ალბანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და განათლების მინისტრი ბედრი სპახიუ ხელმძღვანელობდა. ალბანელი ხალხის წარმომადგენლებს აქ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. საქართველოში ყოფნის დროს ისინი დაუვრილებით გაეცნენ რესპუბლიკის უდიდეს კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა, საწარმოთა და კოლმეურნეობათა მუშაობას, შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს კულტურის მოღვაწეებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული და კულტურული ძეგლები, ეწვივნენ ქალთა მე-19 საშუალო სკოლას, ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ვ. კუპრაძემ ბედრი სპახიუსთან საუბარში უამბო მას, თუ რა წარმატება აქვს რესპუბლიკას სახალხო განათლების განვითარებაში.

დელეგაციის წევრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლოს—ქალაქ გორის ნახვამ. დელეგაცია გაემგზავრა აგრეთვე მცხეთასა და ზუგდიდის რაიონში.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სტუმრების პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა.

თბილისიდან გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა ბედრი სპახიუმ განაცხადა:

— ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მაგრამ ყოველივე იმან, რაც ჩვენ ვნახეთ, ყოველ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. აღტაცებული ვართ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებით.

ჩვენ იმ ქვეყნიდან ჩამოვედით, სადაც ხალხმა საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება და აშენებს თავის ახალ ცხოვრებას, თავდადებით იბრძვის მშვიდობისათვის.

დიდი საბჭოთა ხალხის მაგალითი და დახმარება აღაფრთოვანებს ალბანელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში.

ღელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის არქიტექტორები საქართველოში

საქართველოში სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის არქიტექტორთა დელეგაცია. სტუმრები გაეცნენ საქართველოს საბჭოთა არქიტექტურის მიღწევებს. მათ დაათვალიერეს თბილისის ახალი მშენებლობანი — საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ფასადის მშენებლობა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული სახლისა და მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის მშენებლობა, საბჭოთა არქიტექტურის თვალსაჩინო ნაწარმოები — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი და სხვა ნაგებობანი, აგრეთვე ქალაქის ახალი მაგისტრალები. დელეგაციის წევრები დაესწრნენ სპექტაკლ „დაისს“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ჩეხოსლოვაკიის არქიტექტორები გაემგზავრნენ გორში — ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლოში, სადაც გაეცნენ ქალაქის რეკონსტრუქციისათვის წარმოებულ მუშაობას. მცხეთაში მათ დაათვალიერეს ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ცნობილ ქართველ არქიტექტორებს.

დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვს. (საქდესი).

ფართოდ გავავრცელოთ მუშაობის ნოვატორული მეთოდები

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მუშაობის ნოვატორული მეთოდების დანერგვის მდგომარეობა. ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. რობაქიძემ, მკერავთა და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეებმა მ. ნანიტაშვილმა და შ. ხუციშვილმა, საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა მ. გურგენოვამ.

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობაში დროულად გამოეხმაურნენ წარმოების ნოვატორების—ჩუტკიხის, კორაბელნიკოვას, ვოროშინის, ლევჩენკოს, კოვალიოვის, კონონენკოს, როენევას და მრავალ სხვა ნოვატორთა წამოწყებებს, წარმოებაში დანერგეს მათი მუშაობის მოწინავე მეთოდები. საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლისა და სატრიკოტაჟო საწარმოებში ასობით ბრიგადა იბრძვის შრომის სტახანოვური ხერხების დასაუფლებლად, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდების მოსაპოვებლად. ერთეულ საწარმოო ოპერაციებზე პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, ერთეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესასრულებლად, ნედლეულისა და მასალების დასაზოგავად, წარმოების კულტურის ასამაღლებლად.

ამ ნოვატორული მუშაობის შედეგებმა გამოხატულება ჰპოვა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ზრდის, ნედლეულისა და მასალების დიდი რაოდენობით დაზოგვის, საწარმოო კულტურის ამაღლების, ზეგეგმითი დაგროვების საქმეში.

ამ წარმატებათა მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში ნოვატორული მეთოდების დანერგვისა და გავრცელებისათვის ბრძოლა საგრძნობლად შესუსტდა. ამხ. რობაქიძემ თავის მოხსენებაში აღიარა, რომ მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის ნოვატორის ციალა ღლონტის ნოვატორული მეთოდების გავრცელებისათვის სამინისტრომ და აბრეშუმის მრეწველობის სამმართველომ დროზე არ მიიღეს საჭირო ზომები და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ ამა წლის 21 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკებში ამხ. ღლონტის მეთოდის დანერგვისა და გავრცელებისათვის. ღღეს დადასტურებულია, რომ ამხ. ღლონტის მეთოდით მუშაობა დიდად აუმჯობესებს ძაფის ხარისხს, იძლევა ნედლეულის ეკონომიას და საგრძნობლად ამცირებს მუშახელს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი და მაუდ-კამვოლის, ქუთაისის მაუდის, ბათუმის ფეხსაცმლის, წულუკიძის ძაფსაღები ფაბრიკების და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის წარჩინებულმა სტახანოველებმა მეხრაძემ, ურთაშვილმა, კოპალეიშვილმა, ჯორჯაძემ, კოლოდამ, ივანიკოვმა, ჩხენკელმა, ზამარაევამ, ფარცვანიამ, კუტივაძემ და სხვებმა ძირითადი საწარმოო ოპერაციების შესრულების დრო ნორმასთან შედარებით ორ-სამჯერ შეამცირეს და დიდ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, ამ მოწინავე ნოვატორთა მეთოდების ფართოდ გავრცელებისათვის ძალიან ცოტა რამ კეთდება. სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს თითქმის მიივიწყეს მუშაობის ნოვატორული მეთოდების გამოვლინება, შესწავლა, მათი განზოგადება და დანერგვა. თბილისის ბამბის ძაფსართავ, ბათუმის სამკერვალო და ფეხსაცმლის, ქუთაისის მაუდის და თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკებში წელს არ შეუსწავლიათ და არ დაუნერგავთ ნოვატორული მუშაობის მეთოდები.

ბევრ საწარმოში არ არის შექმნილი ტექნიკური საბჭოები, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სტახანოვური მეთოდების გავრცელებას. საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკოსები ნაკლებად მონაწილეობენ ნოვატორული მეთოდების გავრცელებაში. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ნოვატორ მეხრაძის მეთოდი ვერ ინერგება მაქოების საკმაო რაოდენობით მოუმზადებლობის გამო. ამის შედეგად საქსოვი საამქრო თვეში 4.300 მეტრით ნაკლებ ქსოვილს უშვებს. სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში სუსტად ინერგება ოსტატის თანაშემწის ნოვატორ ხარიტონაშვილის წინადადება დაზგების სარემონტთაშორისო დროის გახანგრძლივების შესახებ. ასევე არასაკმაო მუშაობა წარმოებს ამხ. ნიკოლაშვილის ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის. ზოგიერთ საწარმოში ნედლეულისა და მასალების არადამაკმაყოფილებელი მომარაგების შედეგად დიდია მუშათა მოცდენი. წარმოების ხელმძღვანელები მთლიანად ვერ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მუშათა მომზადების ვალდებულებებს. ბევრგან მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება.

ყოველივე ამის შედეგად ბევრი ბრიგადა ვერ ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს. მაგალითად, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრებაში მონაწილე 26 ბრიგადიდან 20 ბრიგადა ვერ ასრულებს ხარისხის გეგმას. ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში 42 ბრიგადიდან ვალდებულებას ასრულებს მხოლოდ 23, ხოლო თბილისის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში 13 ბრიგადიდან—ვერც ერთი.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორი ნ. თუშიშვილი, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის სტახანოველი ც. ღლონტი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი ა. მიქელაძე, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი თ. კოპალეიშვილი, ფაბრიკა „საჭრელიკოტაჟის“ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. აკოპოვა, პირველი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი მ. ქართველიშვილი, თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. არუთინოვა, საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ა. კოჩინაშვილი და მოლოტოვის სახელობის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს უფროსი ი. ძიძიგური.

ამხ. თუშიშვილმა, მიქელაძემ და ქართველიშვილმა ილაპარაკეს იმ უდიდეს საწარმოო აღმავლობაზე, რომელიც აღნიშნული საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებში გამოიწვია პარტიის XIX ყრილობის მოწვევამ, ყრილობის მიერ მიღებულმა ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის თამამგონებელმა სიტყვამ. მათ პლენუმს მოუთხრეს, თუ როგორ შეასრულეს ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

ამხ. ც. ღლონტმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც ამჟამად ძაფსაღებ ფაბრიკებში ხორციელდება მისი მუშაობის მეთოდის დასანერგავად. ამასთანავე სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი ძაფსაღები ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობის განახლების, ფაბრიკების საყალიბო მანქანებით მომარაგების აუცილებლობაზე. მან საყვედური გამოთქვა აგრეთვე იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მუშებისათვის ნოვატორული მეთოდების გაცნობის გასაადვილებლად საჭირო ბროშურებისა და პლაკატების გამოცემა.

თავიანთ საწარმოებში ნოვატორული მუშაობის გავრცელების მდგომარეობაზე ილაპარაკეს ნოვატორმა თ. კოპალეიშვილმა, აგრეთვე ამხანაგებმა აკოპოვამ, არუთინოვამ და ძიძიგურამ.

ამხ. კოჩინაშვილმა სამინისტროს და საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს უსაყვედურა, რომ ისინი უგულებელყოფენ ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომის დაცვის ღონისძიებებს, რომლებიც წლების მანძილზე არ ხორციელდება.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა.

მან ილაპარაკა იმ უდიდეს ამოცანებზე, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ სამეურნეო ხელმძღვანელებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაუსახა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში. ამხ. კოჭლამაზაშვილმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელების საქმეში მოეპოვებათ როგორც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და მის სამმართველოებს, ისე პროფკავშირთა რესპუბლიკურ და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს. კერძოდ მან აღნიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, მისი სამმართველოები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები სუსტად ახორციელებენ კონტროლს წარმოების ნოვატორთა მოწინავე მეთოდების დანერგვასა და გავრცელებაზე.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ უძრაობასა და კონსერვატიზმს ნოვატორული მეთოდების გავრცელების საქმეში. ნოვატორობის განზოგადოებისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის უნდა ზრუნავდეს თვითეული სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი. უნდა მივაღწიოთ იმასა, რომ ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება თვითეული მუშის კუთვნილება გახდეს. აუცილებელია,—განაცხადა დასასრულ ამხ. კოჭლამაზაშვილმა, — როგორც სამინისტრომ, ისე მისმა სამმართველოებმა და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა უახლოეს დროში მიაღწიონ გადამჭრელ გარდატეხას ნოვატორული მეთოდების დანერგვისა და ფართოდ გავრცელების საქმეში. საქართველოს პროფსაბჭომაც გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით. მხოლოდ ამ პირობებში შევძლებთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა დარბაზობა გამართა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო 7 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა მოსკოვში დარბაზობა გაუმართა დიპლომატიურ კორპუსს.

დარბაზობაზე იყვნენ უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ. სპახიუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ლი ფუ-ჩუნი და ე ძი-ჯუანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. სობეკი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ა. კელეზი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტის სამდივნოს უფროსი სუნ შაო-ვენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ლიუ ია-ლოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრის მოადგილე ვან ჯენი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლ. საიანი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ი. კოსიო ვილეგასი, საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი ე. პეტი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაური კ. შირდევანი, სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების დელეგაციის მეთაური კ. ნისტორი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციის მეთაური ლ. კლენგოვა-ბესეროვა, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ბირმა-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაციის მეთაური აუნგ ხლა, საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ დელეგაციის მეთაური ო. ბარბიერი, სსრ კავშირთან დაახლოების ახალი ზელანდიის საზოგადოების დელეგაციის მეთაური ვ. აირი, უცხოეთის პროფკავშირულ, კულტურულ ორგანიზაციათა დელეგაციების მეთაურები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ნ. კუმიკინი, ბ. პ. ბეშჩევი, ი ა. ბენედიქტოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, კ. პ. გორშენინი, ვ. ნ. სტოლეტოვი, დ. გ. ჟიმერინი, პ. ფ. ლომაკო, ზ. ა. შაუკოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, ე. ი. სმირნოვი, გ. ს. ხლამოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი გ. ნ. საფონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები გ. მ. პუშკინი, ბ. თ. პოდცერობი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები მ. გ. ლოშაკოვი, კ. ი. კოვალი, მ. რ. კუზმინი, ლ. ი. ზორინი, გ. ე. კოფტოვი, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ს. ა. გერასიმოვი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი, ს. ზ. ზახაროვი, ვ. ა. ანდრეევი, გენერალ - პოლკოვნიკები მ. ს. მალინინი, პ. ფ. ჟიგარიოვი, პ. ა. არტემიევი, ვ. ი. კაზაკოვი, ა. ი. პროშლიაკოვი, ა. ს. ჟელტოვი, ვიცე-ადმირალები ვ. ა. ფოკინი, ნ. ი. ვინოგრადოვი, გენერალ-ლეიტენანტები მ. ა. შალინი, პ. ფ. ბატიცკი, კ. რ. სინილოვი, კონტრ-ადმირალი ი. ს. მოგილნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხედრო სამინისტროს, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები. (საკდესი).

ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და წყალმომარაგების კათედრა 1951 წლიდან ეწევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა დასახმარებლად, ამუშავებს ტახია-ტაშის კაშხალის ზედა ბიეფში მდინარე ამუ-დარიას ნატანის დალექვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობას იღებს კათედრის მთელი შემადგენლობა სტალინური პრემიის ლაურეატის — პროფესორ მ. მოსტკოვის ხელმძღვანელობით.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა ა. ზედგინიძემ და გ. მამრაძემ, აგრეთვე ასპირანტმა გ. დოლიძემ გამოითვალეს და ინსტიტუტის ჰიდრავლიკური ლაბორატორიის ფართობზე ააგეს ამუ-დარიის უბნის მოდელი, რომლითაც ცდებს აწარმოებენ წყალსაცავში ნატანის დალექვის დინამიკის შესასწავლად.

მეცნიერ მუშაკთა მეორე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიან ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები ი. მეჩიტოვი და ე. კალანტაროვა, შეისწავლა ამუ-დარიის კალაპოტის მორფოლოგიური მახასიათებლები, შეიმუშავა წყალსაცავში ნატანის დალექვის გაანგარიშების მეთოდიკა და მოახდინა დალექვის პირველი საორიენტაციო გაანგარიშება.

კათედრის მუშაობაში მონაწილეობენ ასპირანტები და სტუდენტებიც. ასპირანტმა გ. დოლიძემ სტუდენტ ე. მარტიროსიანთან ერთად ცდებით განსაზღვრა მღვრიე წყლის სიბლანტის გავლენა წინააღმდეგობის სიდიდეზე და ნაკადში სიჩქარის განაწილებაზე. ასპირანტმა ნ. კერესელიძემ ინსტიტუტის ჰიდრავლიკურ არხში მოაწყო ცდები წყალის ნაკადში სიმღვრივის განაწილების ხასიათის გამოსარკვევად ნატანით გაჯერების ხარისხთან დაკავშირებით. სტუდენტებმა გ. გაჩეჩილაძემ და ი. ქებულაძემ შეისწავლეს და ცდებით შეამოწმეს ჰიდრომეტრიული კვერთხისა და ორმაგი ტივტივების საშუალებით ნაკადის დინების სიჩქარის შესწავლის მეთოდიკა, რომელიც კათედრაზე იქნა დამუშავებული. და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს წყალდიდობისას ამუ-დარიის მსგავსი მდინარეების ხარჯის დასაზუსტებლად.

კათედრამ დაამუშავა წყალის სიმღვრივისა და ნატანის ფრაქციული შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდიკა, რაც გამოცემულია ბროშურის სახით და პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის გაეგზავნა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს.

შექმნილი და გამოცდილია ელექტრული მეთოდით წყალის სიმღვრივის განსაზღვრის ახალი ხელსაწყო, რომელიც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე არსებული ხელსაწყოები, და საშუალებას იძლევა დღეღამეში ნებისმიერი რაოდენობით გაიზომოს სიმღვრივე. ინსტიტუტის შეკვეთით თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა ამზადებს ამ ხელსაწყოს 2 საცდელ ეგზემპლარს, რომლებიც გაიგზავნება ტახია-ტაშში გამოსაყენებლად.

კათედრას მუდმივი კავშირი აქვს მშენებლებთან. მათთან ხშირად გზავნის თავის თანამშრომლებს პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

კათედრის თანამშრომლებმა შეადგინეს ტახია-ტაშის კაშხალის ზედა ბიეფში ნატანის დალექვის დეტალური ანგარიშის ძირითადი ვარიანტი და დაამთავრეს ცდები წყალსაცავში ნატანის დალექვის დინამიკის შესასწავლად. ამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თურქმენეთის მთავარი არხის და კერძოდ ტახია-ტაშის წყალსაცავის ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობისათვის.

ი. მეჩიტოვი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და უნგრელი ხალხის სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნიზმს აშენებს, ჩვენი განმათავისუფლებლის — საბჭოთა კავშირის მთავრობას და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, დიდი ოქტომბრის იდეათა მედროშეს, უნგრელი ხალხის დიდ მეგობარს.

უნგრელი ხალხი გულწრფელი მადლობის გრძნობითა და მხურვალე აღფრთოვანებით აღნიშნავს ამ დღესასწაულს, ვინაიდან იცის, რომ მან თავისუფლება მოიპოვა და თავისი მშვიდობიანი ცხოვრებისა და ბედნიერი სოციალისტური მომავლის მშენებლობის შესაძლებლობა მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხალხის მეოხებით, ხალხისა, რომელიც ახორციელებს ლენინ—სტალინის მოძღვრებას, და რომ ამის მეოხებით უნგრელ ხალხს შეუძლია მშვიდობისათვის იბრძოლოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დამკვრელი ბრიგადების უძლეველი ბანაკის რიგებში.

თქვენი ფასდაუდებელი მოძღვრება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, საბჭოთა ხალხის დიდი მაგალითები და ძმური დახმარება იმის უტყუარი საწინდარია, რომ ჩვენს სამშობლოშიც გამარჯვებამდე მივიყვანთ სოციალიზმის საქმეს, და მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ მთელ მსოფლიოში.

მთელი პროგრესული მსოფლიოს ამ დიდი დღესასწაულის დღეს შემდგომ წარმატებებს გისურვებთ საბჭოთა ხალხს, რომელიც იბრძვის მთელი კაცობრიობის საქმისათვის, საბჭოთა კავშირის მთავრობას და პირადად თქვენ, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის დიდი ბრძოლის ბრძენ ბელადს.

მატიას რაკოში,
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ მკაცრი სამამულო განმათავისუფლებელი ომის ვითარებაში ვეგებებით რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35 წლისთავს, რევოლუციისა, რომლითაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა, ნება მიბოძეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი კორეელი ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით გადმოგცეთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინ, თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს უაღრესად გულითადი მოლოცვა და სალამი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული გამარჯვებანი შუქურაა, რომელიც გამარჯვების გზას უნათებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომლებიც თავისი სამშობლოს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის იბრძვიან. ფასდაუდებელი მაგალითები საბჭოთა ხალხისა, რომელმაც გაანადგურა უცხოელი ინტერვენტები სამოქალაქო ომის პერიოდში და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე, იმპერიალისტურ იაპონიაზე სამამულო ომის დროს და ამით დაიცვა არა მარტო სოციალისტური სამშობლო, არამედ აგრეთვე იხსნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჩაგრული ხალხები, მათი ცივილიზაცია, შთამაგონებელი პრინციპია ჩვენი ხალხისათვის ამერიკელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. კორეელი ხალხი გრძნობს, რომ მას მძლავრ მხარდაჭერას და თანაგრძნობას უწევენ დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანს ეს მხარდაჭერა და თანაგრძნობა ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს კორეელ ხალხს და ძალებსა და საბოლოო გამარჯვების რწმენას მატებს მას.

აღნიშნავს რა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეს, მთელი კორეელი ხალხი უდიდესი პატივისცემისა და განსაკუთრებული სიხარულის გრძნობით მიესალმება საბჭოთა ხალხს, მის ბრწყინვალე წარმატებებს, რომელნიც მოპოვებულია კომუნიზმის დიად მშენებლობაში, და უსურვებს საბჭოთა ხალხს ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას და გისურვებთ პირადად თქვენ, საყვარელო მასწავლებელო, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბედნიერებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

კიმ ირ სენი,
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრემიერ-მინისტრი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, და თქვენი სახით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და დიდ მოძმე საბჭოთა ხალხს მიიღოთ მონღოლი ხალხისაგან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემგან უგულითადესი მოლოცვა და ჩვენი საუკეთესო სურვილები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 35-ე წლისთავის გამო, რევოლუციისა, რომელმაც მთელი მსოფლიოს მშრომელებს გაუხსნა ერთადერთი სწორი გზა — უექსპლოატატორებოდ ნათელი და ბედნიერი ცხოვრების გზა.

მონღოლი ხალხი უდიდესი სიხარულით დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის წლისთავს გმირ საბჭოთა ხალხთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, რომლისთვისაც მძლავრი საბჭოთა კავშირი ურყევი ბურჯი და დიდი იმედია თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღესასწაულობენ რა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს, დიდი ოქტომბრისა, რომელმაც მონღოლი ხალხი გაათავისუფლა უცხოელი დამპყრობლებისა და შინაური ექსპლოატატორების საუკუნეობრივი ბატონობისაგან, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ ღირსშესანიშნავ დღეს თავიანთი გულწრფელი და გულითადი მადლობისა და მადლიერების პირველ სიტყვას უძღვნიან ჩვენს საუკეთესო მუდმივ მეგობარს — დიდ საბჭოთა ხალხს და პირადად თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენს ბრძენ მამას და მასწავლებელს, მონღოლი ხალხის ბედნიერების სულისჩამდგმელსა და შემქმნელს.

მონღოლეთის მშრომელებს მუდამ აღაფრთოვანებს იმის სასიხარულო შეგნება, რომ მხოლოდ დიდი ოქტომბრის ძლევამოსილმა დროშამ, უძლეველი ლენინურ-სტალინური იდეების უდიდესმა გამარჯვებამ, ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მუდმივმა მამობრივმა მხარდაჭერამ და დახმარებამ, საბჭოთა ხალხის ფასდაუდებელმა კეთილშობილურმა დახმარებამ უზრუნველყვეს მონღოლი ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება და განმტკიცება, მზარდი წარმატებანი მისი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში და რომ ისინი სოციალიზმისაკენ განვითარების გზებზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომ ახალ წარმატებათა საწინდარსა და მძლავრ საფუძველს წარმოადგენენ.

ჩვენი მშრომელი ხალხი, სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი პროგრამით შთაგონებული, რომელიც საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულია თქვენი, ამხანაგო სტალინ, გენიალური მოძღვრების საფუძველზე, განუხრელად სწავლობს რა მოძმე საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების მდიდარი მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებით და ურყევად განმტკიცებს მასთან სამარადისო ურღვევ მეგობრობას, კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას თავისი ქვეყნის ახალი ეკონომიკური და კულტურული მიღწევებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გამოვთქვა მონღოლი ხალხის თქვენდამი სიყვარულისა და ერთგულების უაღრესად გულწრფელი გრძნობა და სულითა და გულით გისურვოთ ჯანმრთელობა, მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლე საბჭოთა ხალხის, მონღოლი ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ, სასიხარულოდ და საბედნიეროდ

ი. ცედენბალი,
მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

მოსკოვი, კრემლი

გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, მშრომელი ბულგარელი ხალხისა და მისი მთავრობის სახელით მიიღოთ მხურვალე მოლოცვა თქვენდამი და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი და მთელი მოძმე საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო. ჩვენი ხალხი აღნიშნავს და ადიდებს საბჭოთა ხალხის დიდ დღესასწაულს, როგორც საკუთარ დღესასწაულს, როგორც მსოფლიო-ისტორიულ მოვლენას, რომელმაც ყველა ხალხს უჩვენა მშვიდობისაკენ, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა.

საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების მძლავრი განვითარება, მისი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობა, რაც გამოწვეულია თქვენი ახალი ბრწყინვალე წვლილით მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საწუშაოთა გრანდიოზული პროგრამით; დიადი წარმატებანი, რომლებითაც საბჭოთა კავშირი ეგებება საბჭოთა ხელისუფლების 35-ე წლისთავს, არა მარტო ახარებენ ჩვენს ხალხს, არამედ აღაფრთოვანებენ მას ახალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში, განუმტკიცებენ მას რწმენას, რომ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი საქმე გაიმარჯვებს.

კაცობრიობის ყველაზე ნათელი დღესასწაულის დღეს ჩვენი ხალხი სულით და გულით უსურვებს სახელოვან საბჭოთა ხალხს — განმათავისუფლებელ ხალხს, მშვიდობისა და სოციალიზმის უძლეველ ბურჯს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ახალ გიგანტურ წარმატებებს მშვიდობისა და პროგრესის მტრების თავზარდასაცემად, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლ ხალხთა სასიხარულოდ და საბედნიეროდ. ამ დღეს ჩვენი ხალხი ცხადყოფს თავის ურყევ ერთგულებას ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისადმი, უსაზღვრო ერთგულებას და მადლობას საბჭოთა კავშირისადმი მისი გულუხვი და უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, ცხადყოფს თავის ურყევ გადაწყვეტილებას განმტკიცოს და გააფართოოს მეგობრობა და თანამშრომლობა მასთან, თვალისჩინივით გაუფრთხილდეს მათ. ყველა ბულგარელი მშრომელი, ბულგარეთის მიწა-წყლის ყველა პატიოსანი ადამიანი სიყვარულით, უსაზღვრო ნდობითა და მადლიერებით აღსავსე შემოგცქერით ამ დღეს თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო სტალინ, მთელი ჩვენი ხალხის სახელით სულითა და გულით გისურვოთ ჯანმრთელობა.

დიდება საბჭოთა კავშირის უძლეველ კომუნისტურ პარტიას — ლენინ—სტალინის პარტიას!

დიდება გენიალურ მასწავლებელსა და ბელადს, ჩვენი ხალხისა და მსოფლიოს ყველა ხალხის საუკეთესო მეგობარსა და დამცველს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

ვ. ჩერვენკოვი,
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, დიდად პატივცემულო ამხანაგო სტალინ, გადავცე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და საბჭოთა კავშირის ხალხებს ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი პატრიოტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი უაღრესად გულითადი მოლოცვა და მისალმება. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ სრული სიამაყით გადაავლონ თვალი ამ 35 წლის განმავლობაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს. საბჭოთა კავშირის ხალხები თავიანთი ძალებისადმი სრული რწმენით თანმიმდევრულად და დაუცხრომლად, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და თქვენი ხელმძღვანელობით, დიდად პატივცემულო ამხანაგო სტალინ, მიდიან კომუნიზმის აშენების გზით და მათ მსოფლიოს ყველა ხალხს უჩვენეს ბედნიერი და მშვიდობიანი მომავლის შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უძლეველ ძალას და მშვიდობისადმი ურყევ მისწრაფებას. საბჭოთა კავშირის ხალხთა დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის და მათი არაერთგზის გამოსვლა ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის სასარგებლოდ გერმანელი ხალხისათვის მძლავრი იარაღია ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი მხარდაჭერისა და ძმური დახმარების გამო, რის შედეგად გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო დაეწყო სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა, აღტაცებულმა და მადლიერების გრძნობით გამსჭვალულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი მრავალი ვალდებულებით გამოხატეს თავიანთი სოლიდარობა დიდ საბჭოთა ხალხთან და ლენინ—სტალინის ძლევამოსილ პარტიასთან. გერმანელი ხალხი გულწრფელი და ურღვევი მეგობრობის გრძნობით უსურვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს ახალ გადამწყვეტ გამარჯვებებს კომუნიზმის აშენების გზაზე. პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, ყველა გერმანელი პატრიოტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს მშვიდობის ამ გრანდიოზული საქმის დაგვირგვინებაში.

ო. გროტევოლი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს წერილი მის აღმაგებულებას

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენი ეროვნული დღესასწაულის გამო მე დიდი კმაყოფილებით კვლავ გადმოგცემთ თქვენს აღმატებულებას და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს უაღრესად გულთბილ მისალმებას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით, რომელსაც მე ვუერთდები. ჩვენ ინდოეთში გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც ესოდენ ბედნიერად დამყარდა ჩვენს ორ ქვეყანას შორის, მუდამ იარსებებს მშვიდობისა და სტაბილობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავზე პოლონელი ხალხის სახელით და ჩემი სახელით გიგზავნით თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარეო, უაღრესად მხურვალე მოლოცვას და სალამს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი და პირადად თქვენდამი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რა დიადი და უძლეველია იდეური, პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება საბჭოთა ხალხებისა, რომლებიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აშენებენ კომუნიზმს და მეთაურობენ ბრძოლას მშვიდობის დასაცავად, ხალხთა მეგობრობის დასაცავად, თვითეული ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების უფლების დასაცავად.

პოლონელი ხალხი, რომელიც თავისი ქვეყნის თავისუფლებას საბჭოთა კავშირს უნდა უმადლოდეს, სულ უფრო განამტკიცებს გულითად მეგობრობას, რომელიც მას აკავშირებს მოძმე საბჭოთა ხალხთან.

სახალხო პოლონეთში ყველას შეგნებული აქვს, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროებისა და აყვავების საწინდარია. პოლონელი ხალხი ძალღონეს არ დაიშურებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ბოლესლავ ბერუტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ნ. მ. შვერნიკს

მოსკოვი

პატივცემულო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 35-ე წლისთავის გამო მხურვალე სალამს და უაღრესად გულწრფელ მოლოცვას გიძღვნით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს.

უკანასკნელი წლების უდიდესი მოვლენის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვანი მე-19 ყრილობის ძლიერი შთაბეჭდილებით მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხი სიყვარულით და პატივისცემით დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც უზრუნველყო არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვება მსოფლიო კაპიტალიზმზე, არამედ, აგრეთვე მძლავრი იმპულსი მისცა მთელი მსოფლიოს ხალხთა გადამწყვეტ ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, ამხანაგ სტალინის დიდებული სიტყვა, ისევე როგორც ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენი ხალხისათვის იქნება ცოდნის დაუშრეტელი წყარო ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური წყობილების აშენებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში და კიდევ უფრო მძლავრი იარაღი მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის ხალხები, რომლებიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ფაშისტური დამონებისაგან და ამით აშკარა დაღუპვისგანაც, დღეს, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, უფრო, ვიდრე ოდესმე, აფასებენ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა და პირადად ამხანაგ სტალინის უდიდეს და უანგარო დახმარებას.

საბჭოთა კავშირთან მარადიული, უმჭიდროესი მეგობრობისა და კავშირისადმი ერთგული ჩვენი ხალხები კიდევ უფრო გაბედულად და სწრაფად წავლენ წინ თავიანთ სამშობლოში სოციალიზმის მშენებლობის გზით, რათა დაამტკიცონ, რომ ღირსნი არიან „დამკვრელი ბრიგადის“ საპატიო წოდებისა და გაამართლონ საყვარელი სტალინის დიდი ნდობა.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი სულით და გულით უსურვებს გმირ საბჭოთა ხალხს შემდგომ სახელოვან წარმატებებს მისი ისტორიული ამოცანის — კომუნიზმის აშენების ამოცანის განხორციელებაში.

კლემენტ გოტვალდი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო გთხოვთ დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის სახელით და პირადად ჩემგან მიიღოთ უაღრესად გულთბილი მისალმება. ამ დიად დღესასწაულზე ჩვენი ხალხი კვლავ მადლიერებით, სიყვარულით და ერთგულებით მიაპყრობს თვალს დიდ საბჭოთა კავშირს, რომლის დიადი მაგალითი გზას გვინათებს ჩვენს მუშაობასა და ბრძოლაში, და მშრომელთა გენიალურ ხელმძღვანელს, ხალხთა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. რუმინელი ხალხი დიდ საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნიზმს აშენებს, უსურვებს შემდგომ წარმატებებს მის დიდებულ საქმეში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

დოქტორი პეტრუ გროზა,
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის დიადი დღესასწაულის დღეს გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, მიიღოთ პირადად ჩემგან და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისაგან მხურვალე სალამი.

ნება მიბოძეთ ამ შემთხვევის გამო გამოვთქვა მთელი ჩვენი ხალხის მადლობა იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა და საბჭოთა ხალხი უწევენ ჩვენს ქვეყანას.

საბჭოთა კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმა და წარმატებები, რომლებზეც ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, ძალას მატებენ ჩვენს ხალხს, უნერგავენ მას მომავლის რწმენას, უძლიერებენ იმის რწმენას, რომ საბჭოთა ხალხთან ურღვევი მეგობრობა უნგრელი ხალხის ბედნიერების ყველაზე საიმედო საწინდარია.

უნგრელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მძლავრ საბჭოთა კავშირთან ურღვევი მეგობრობით კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლოს მშვიდობის დაცვისა და მშენებლობის დიადი საქმისათვის.

იშტვან დოგი,
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი

გთხოვთ მიიღოთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის სახელით და ჩემი სახელით უაღრესად გულითადი მოლოცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო. ვუსურვებ საბჭოთა ხალხს ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმის გიგანტურ მშენებლობებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ გააშუქა იმ გმირული ბრძოლის სწორი გზა, რომელსაც საბჭოთა ხალხები ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის მეთაურობით კაპიტალისტური და ფაშისტური გარემოცვის მხრივ ინტერვენციის მრავალი ცდის წინააღმდეგ და შინაური გამცემლების — იმპერიალისტთა ლაქიებისა და აგენტების წინააღმდეგ. ყრილობამ აგრეთვე დასახა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის, ახალი ომის ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივები.

ბულგარელი ხალხი ყველა სხვა ხალხთან ერთად სწავლობს საბჭოთა ხალხების გამოცდილებით. ასრულებს რა უკვდავი გიორგი დიმიტროვის ანდერძს, იგი ბულგარეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის მითაურობით, ამთავრებს სოციალიზმის საფუძვლების აშენებას ჩვენს ქვეყანაში და მტკიცედ იბრძვის მშვიდობის ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, იბრძვის იმპერიალისტებისა და ბალკანეთში მათი აგენტების წინააღმდეგ.

ბულგარელმა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა არის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა.

განმტკიცდეს ურღვევი მეგობრობა ბულგარელ ხალხსა და ჩვენს ორგზის განმათავისუფლებელ საბჭოთა კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს შორის!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინ—სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ყველა ხალხთა და ჩვენი ხალხის ბელადსა და მასწავლებელს — მთელს მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს — ამხანაგ სტალინს!

გიორგი დამიანოვი,
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბირმის კავშირის პრეზიდენტის ღოქჯორ ბა უს მისასალმებელი წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის დღეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

ამ ღირსსახსოვარ დღეს ბირმის კავშირის მთავრობის, ხალხის და პირადად ჩემი სახელით დიდი კმაყოფილებით გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და გულწრფელად გილოცავთ თქვენს აღმატებულებას და თქვენი საშუალებით სსრ კავშირის მთავრობასა და ხალხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). 7 ნოემბერს სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა განხილვა საკითხისა სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის შესახებ და ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტისა, რომელიც ინდოეთისა და 14 სხვა ქვეყნის დელეგაციებმა შეიტანეს.

აფრიკის, აზიის ქვეყნებისა, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში დაგმეს რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს. მაგალითად, ლიბერიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის გეგმების მიზანია ჯერ ეკონომიურად ჩაახშოს ინდური მოსახლეობა, ხოლო შემდეგ საერთოდ მოსპოს იგი. მსოფლიოში მშვიდობა მანამდე ვერ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ იარსებებს რასობრივი ჩაგვრა, განაცხადა დასასრულ ლიბერიის წარმომადგენელმა. ეგვიპტის წარმომადგენელმა, მხარი დაუჭირა 15 ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილ წინადადებას და განაცხადა, რომ ჩაგრული ხალხების გამოღვიძება, მათი ბრძოლა ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებაა.

პოლონეთის წარმომადგენელმა მიხალოვსკიმ გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი უუნარობისათვის — მიაღწიოს სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა დევნის შეწყვეტას.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ პოლონეთის პოლიტიკა, ისევე, როგორც სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის პოლიტიკა, დამყარებულია ყველა ერის თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის პრინციპზე, მიხალოვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის დელეგაცია მხარს დაუჭერს ინდოეთისა და 14 სხვა ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს.

ინგლისის, ჰოლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა კოლონიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სხვადასხვა საბაბით ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ეს საკითხი გამერიცხათ გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგიდან.

7 ნოემბრის კომიტეტის სხდომაზე გაჩოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი — უზბეკეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მ. კუჩკაროვი. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია ემხრობა სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირების მდგომარეობის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას, ამ საკითხის გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად გაერთიანებული ერების პრინციპებისა და მიზნების სულისკვეთებით. ეყრდნობა რა ამას, სსრ კავშირის დელეგაცია მხარს უჭერს რეზოლუციის პროექტს, რომელიც შემოტანილია ინდოეთისა და 14 სხვა ქვეყნის დელეგაციების მიერ.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). 7 ნოემბერს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ გამოვიდნენ ნიკარაგუას, ეთიოპიის, ეგვიპტის, იუგოსლავიისა და უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატები.

ნიკარაგუას და ეთიოპიის წარმომადგენლებმა ახალი ვერიფერი დაუმატეს სიტყვებს, რომლებიც კომიტეტის სხდომებზე წარმოთქვეს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის სხვა დამცველებმა.

ნიკარაგუას დელეგატი ფაქტების უგულებელყოფით ამტკიცებდა, თითქოს საერთაშორისო სამართალი ამართლებდეს ამერიკის სარდლობის მიერ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების უკანონოდ დაკავებას. ეთიოპიის წარმომადგენელმა, რომლის მთავრობამაც თავისი ჯარები გაგზავნა კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა დასახმარებლად, განაცხადა, რომ იგი „სავსებით უჭერს მხარს“ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას კორეის საკითხში.

კორეაში ამერიკის აგრესიის დამცველად გამოვიდა აგრეთვე ტიტოს ხროვის წარმომადგენელი, რომელიც თავისი ამერიკელი ბატონ-პატრონების საამებლად უტიფრად ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირს, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. მან მოიწონა რეზოლუციის ამერიკის პროექტი და ლაქუერად ამტკიცებდა, რომ ეს პროექტი თითქოს ცხადყოფს მისი ავტორების სურვილს — მიაღწიონ მშვიდობას.

ეგვიპტის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღიარა, რომ სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „არაიძულებითი რეპატრიაცია“, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციები იცავენ, ნამდვილად იწვევს „სამხედრო ტყვეთა იძულებით დაკავებას“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტში კორეის საკითხის გადაჭრისას საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ კორეის ომში „არ არიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი“, რომ მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდება დავას, კორეაში იღუპებიან ადამიანები და რომ კომიტეტის ამოცანაა შეაჩეროს საომარი მოქმედება კორეაში, გამონახოს კორეის საკითხის გადაჭრა და არა „რეზოლუციის შედგენაზე იმუშაოს“.

ეგვიპტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად არაბთა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებს შორის წარმოიშვა მოლაპარაკება, რომლის მსვლელობაში მუშავდება ახალი წინადადებანი კორეის საკითხზე.

ეგვიპტის დელეგატმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებაში კორეის საკითხზე გთვალისწინებულ იქნას გარანტიები „სამხედრო ტყვეთა იძულებითი დაკავებისა, თუ იძულებითი დაკითხვის“ წინააღმდეგ. მაგრამ მან იქვე განაცხადა, რომ საჭიროა გარანტიები აგრეთვე სამხედრო ტყვეთა რაღაც „იძულებითი რეპატრიაციის“ წინააღმდეგ, თუმცა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ უკვე ამხილა ამერიკის დელეგაციის ყალბი მტკიცება, რომ კორეა-ჩინეთის სარდლობა თითქოს მოითხოვს სამხედრო ტყვეების „იძულებით“ რეპატრიაციას, და ცხადყო, რომ ეს ცილისმწამებლური ჭორები ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობას

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 ნოემბერს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელ ზღუდეებზე, იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და სერიოზულ დარტყმებს აყენებდნენ მას.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 7 და დაზიანეს 7 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ მშვიდობიან დასახლებულ რაიონებზე ბარბაროსულ თავდასხმებში.

ამერიკელი ჰაერის მეკობრეები კვლავ გარბაროსულად დაესხნენ თავს ფხენიანს

ფხენიანი, 9 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავები კვლავ შეუნელებელი ძალით ბომბავენ ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიან ქალაქებს. 8 ნოემბერს ღამით ქვლავ გააფთრებით დაბომბეს ფხენიანი. თავდასხმაში, რამაც რამდენიმე საათს გასტანა, მონაწილეობას იღებდა ამერიკის მრავალი ძმიმე ბომბდამშენი „მფრინავი ციხე“. ჰაერის მეკობრეებმა განსაკუთრებით მხეცურად დაბომბეს ქალაქის დასავლეთი, ყველაზე ხშირად დასახლებული ნაწილი. მას დააყარეს მეტად ბევრი ფუგასური, ცეცხლგამჩენი, ბრიზანტული და ნაპალმის ბომბი.

ამერიკელ აგრესორთა ამ ახალი ბოროტმოქმედების შედეგად დაინგრა და დაიწვა მშვიდობიან მცხოვრებთა ბევრი საცხოვრებელი სახლი, მოკლულ, დაჭრილ და მიწურებსა და თავშესაფრებში ცოცხლად დამარხულ იქნა მრავალი ქალი, მოხუცი და ბავშვი.

ვიეტნამის სახალხო არმიის საბრძოლო წარმატებანი

შანხაი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე შავი მდინარის მარცხენა ნაპირის რაიონში საბრძოლო ოპერაციების შესახებ.

შავი მდინარის მარცხენა ნაპირსა და წითელი მდინარის მარჯვენა ნაპირს შუა, ნათქვამია კომუნიკეში, მოწინააღმდეგეს ეკავა რაიონები ფუენი და მუონგ-ლას (სონ-ლას პროვინცია) ნაწილი, ვან-ჩანი, ტა-ნუენი (ენ-ბაის პროვინცია), კუინ-ნაი (ლაი-ჩაუს პროვინცია) და ფონგ-ტო (ლაო-კაის პროვინცია).

როგორც შემდეგ აღნიშნულია კომუნიკეში, სახალხო არმიის შეტევა დაიწყო 14 ოქტომბერს იმით, რომ გაანადგურა რვა გამაგრებული პუნქტი ნგია-ლოს იერგეზე.

19-დან 23 ოქტომბრამდე ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარებმა სდიეს ყია-ხოიდან, ტიუ-ლედან უკუქცეულ მოწინააღმდეგეს ას კილომეტრ მანძილზე იტ-ტონგამდე და შავ მდინარემდე, გაათავისუფლეს ხუთი პუნქტი. მოწინააღმდეგემ ნაჩქარევად უკანდახევისას მიატოვა მთელი თავისი მარაგი და საწყობები.

მოწინააღმდეგემ დაკარგა 1.700 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 1.000-ზე მეტი სამხედრო ტყვე.

ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარებმა გაათავისუფლეს დიდი რაიონი წითელ და შავ მდინარეთა შუა, მათ შორის ფუ-ენი, ვან-ჩანი, ტა-ნუენი, კუინ-ნაი და მუონგ-ლას რაიონის ნაწილი, აგრეთვე რამდენიმე ნაყოფიერი დაბლობი.

ინგლისელ მაღაროელთა გაფიცვა

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, ხელფასის გადიდების შესახებ მაღაროელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 8 ნოემბერს არ მუშაობდნენ 60-მდე შახტის მაღაროელები შოტლანდიაში და 22 შახტისა — სამხრეთ უელსში. შოტლანდიის ბევრი სხვა შახტი ნაწილობრივ არ მუშაობდა.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენცია

ბერლინი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიხსნა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციას ესწრებიან გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, ინგლისის, იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და ფინეთის წარმომადგენლები. კონფერენციამ უნდა განიხილოს გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრასა და გერმანიის მეზობელი ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

კონფერენცია გაიხსნა მიუნხენ-გლადბახის ყოფილი ობერ-ბურგმისტრის ვილჰელმ ელფესის თავმჯდომარეობით. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ი. დიკმანს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სახელით დიკმანი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს. მან აღნიშნა, რომ კონფერენციაზე შეიკრიბნენ სხვადასხვა პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და რელიგიური რწმენის ადამიანები, მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. დიკმანმა რწმენა გამოთქვა, რომ კონფერენცია წარმატებით იმუშავებს და დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისა და მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ფრანგული კათოლიკური ჟურნალის „ესპრის“ მთავარმა რედაქტორმა ჟან-მარი დომენაკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტის მიმართვა

ბერლინი, 10 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტმა მოსახლეობას მიმართა მოწოდებით დელეგაციები გაგზავნოს ბონში, რათა მოსთხოვონ ბუნდესტაგის დეპუტატებს განაგრძონ მოლაპარაკება გერმანელთა შორის, როგორც ამას მოითხოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ახალი წერილი. მიმართვა მოაგონებს მოსახლეობას, რომ დასავლეთ გერმანიის თითქმის 11 მილიონმა მცხოვრებმა სახალხო გამოკითხვის მსვლელობაში უკვე გამოთქვა თავისი აზრი საბავო ხელშეკრულების სასარგებლოდ, ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, და შემდეგ ნათქვამია: „საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს დასავლეთის ხელშეკრულებათა (იგულისხმება ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებები. — **რედ.**) რატიფიკაციას, რათა ამით გზა გაეხსნას სრულიად გერმანიის არჩევნებსა და საბავო ხელშეკრულების დადებას. ამ პერიოდში, როცა ბერლინში მიმდინარეობს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენცია, ხოლო დეკემბერში ვენაში გაიმართება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი, რომელიც უწინარეს ყოვლისა განიხილავს გერმანიის საკითხს, განსაკუთრებით ჩვენ, გერმანელებმა, პირველ რიგში უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რათა მივაღწიოთ ერთიანობას ეროვნულ საფუძველზე...“

დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა თვითნებური მოქმედება

ბერლინი, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, სამხრეთ-დასავლეთ მხარის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა განკარგულება ვიურტემბერგ-ბადენის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აკრძალვის შესახებ.

ამ უკანონო აქტმა საზოგადოებრიობის ფართო პროტესტები გამოიწვია. მიტინგზე, რომელიც 7 ნოემბერს გიმიართა შტუტგარტში, ქალაქის მცხოვრებლებმა აღშფოთება გამოთქვეს ხელისუფალთა თვითნებური მოქმედების გამო და მოითხოვეს გაუქმდეს განკარგულება საზოგადოების აკრძალვის შესახებ.

უთანხმოება აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მიდლტონი ბონიდან გადმოცემულ ცნობაში იუწყება, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნა „თითქმის შეჩერდა“. უწოდებს რა დასავლეთ გერმანიას „სამხედრო მაშველი ჯარის უკანასკნელ რეზერვუარს დასავლეთ ევროპაში“, მიდლტონი წერს, რომ, ბონი-ნიდ ევროპული უკანასკნელი ცნობებით, იტალიის პარლამენტში ბონის შეთანხმებებს კენჭს არ უყრიან ერთ თვეზე ან ექვს კვირაზე ადრე იმ არჩევნების შემდეგ, რაც აპრილში გაიმართება, ხოლო საფრანგეთის ეროვნული კრება აპრილამდე არ განიხილავს ამ საკითხს.

ეგრეთწოდებულ „ევროპის გაერთიანების“ დამტკიცებით დაბრკოლებებად მიდლტონი ასახელებს, კერძოდ, იმას, რომ „ამ ბოლო დროს საფრანგეთში შემჩნეულია მკვეთრი ნაციონალიზმი“ და „ევროპის დედაქალაქებში გაძლიერდა სკეპტიკური დამოკიდებულება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მიზნებისა და პროგრამისადმი“. მიდლტონი აღნიშნავს, რომ, არსებული ნიშნებით, დასავლეთ გერმანიაში „სწავლობენ ხელახალი შეიარაღების პრობლემისადმი ახალი მიდგომის შესაძლებლობას. საქმე ეხება ორმხრივ შეთანხმებას შეერთებულ შტატებთან, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და ევროპის თავდაცვითი გაერთიანების გვერდის ავლით. ასეთი შეთანხმების საფუძველზე შეერთებული შტატები შეაიარაღებდნენ სასაზღვრო დაცვის მნიშვნელოვნად გადიდებულ ჯარებს მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ეს საფრანგეთს“.

დასასრულ მიდლტონი აცხადებს, რომ ადენაუერი და მისი პირადი მრჩეველნი წარმოადგენენ „ევროპის ერთიანობის უკანასკნელ დასაყრდენს“ დასავლეთ გერმანიაში.

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის სააგენტოს ევროპის გენერალური დირექტორი კინსბერი სმიტი პარიზიდან გამგზავნილ ცნობაში აღნიშნავს, ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს საფრანგეთში იმედი აქვთ, რომ ორივე მხარე მიიღებს ღონისძიებებს, რათა დაძლიონ საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობაში „ფაქტიური კრიზისი“, რომელმაც უკვე „დიდი ზიანი მიაყენა ევროპის არმიის შექმნის გეგმას“ და ემუქრება „დასავლეთის კავშირის სოლიდარობას“. სმიტის სტატვით, „ნიუბა შეერთებული შტატებისადმი, როგორც საერთაშორისო საქმეების ხელმძღვანელისადმი, ამჟამად საფრანგეთში ყველაზე დაბალ დონეზეა“. იგი აღნიშნავს, რომ მთავრობის ხელმძღვანელებიც კი მონაწილეობენ „ფრანგ ხალხში ანტიამერიკული განწყობილების შექმნაში“.

გაზეთი „აღ-მისრი“ სუეცის არხის ზონის ინგლისის ჯარებში მღელვარების შესახებ

კაირო, 7 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ალ-მისრი“ იუწყება, რომ სუეცის არხის ზონის ინგლისის ჯარებში გრძელდება მღელვარება.

გაზეთი წერს: „კუნძულ მავრიკიის (ინგლისის კოლონია.—**რედ.**) მკვიდრი ჯარისკაცები აჯანყდნენ 5 ნოემბერს და მოითხოვეს სამშობლოში დაბრუნება. 6 ნოემბერს საღამოს ამ ჯარისკაცებსა და ინგლისელთა ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. როგორც უფრო გვიან გამოირკვა, მოკლულია 3 ინგლისელი ჯარისკაცი და დაჭრილია მრავალი. ჯერჯერობით გამოურკვეველია რამდენია მოკლული და დაჭრილი კუნძულ მავრიკიის მკვიდრ ჯარისკაცთა შორის“.

საქართველოს სსრ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

მესამე დღე

ქუთაისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 10 ნოემბერს რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე ცხენოსნები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ საველე სვლაში, ისინდსა და ცხენბურთში. საველე სვლაში მაღალ სპორტულ შედეგს მიაღწია და პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა ნ. ოვსიანიკოვმა; მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. გერენაია (ზუგდიდი), მესამეზე — ვ. მაქაცარია (ფოთი).

სამჭიდის ორ სახეობაში (სამანეჟო და საველე სვლა) პირველ ადგილზე გამოვიდნენ ნ. ოვსიანიკოვი, რომელსაც შეეროვილი ჰქონდა 270,1 ქულა, მეორე ადგილზე — მ. ძიძიგური („სპარტაკი“), მესამეზე — ვ. მაქაცარია.

სამჭიდში საბოლოო შედეგები გამოვლინდება დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში შეჯიბრების შედეგად.

პირველობის გათამაშების მესამე დღეს, 10 ნოემბერს, გაიმართა ორი ასპარეზობა ისინდში. ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის ცხენოსანთა გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ზუგდიდელთა გამარჯვებით ანგარიშით 11 : 1. ცხაკაიას რაიონის ცხენოსნებმა ისინდში მოუგეს აჭარის ცხენოსანთა გუნდს ანგარიშით 3 : 0.

ცხენოსან ქალთა შეხვედრები სამანეჟო და საველე სვლებში აღინიშნა აფხაზეთის გუნდის წარმომადგენლის მ. სიჟინავას წარმატებით, რომელმაც შეაგროვა 238 ქულა.

ცხენბურთელთა შეჯიბრება ცხაკაიას რაიონისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებს შორის დამთავრდა ცხაკაიას რაიონის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6 : 0.

საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში გრძელდება.

თამარ აბაშიძის შემოქმედებითი საღამო

10 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის თამარ აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა შ. დადიანმა. თ. აბაშიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა რ. ქორქიამ. მსახიობს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის, თბილისის თეატრების, წარმომადგენლებმა.

საღამო დამთავრდა მხატვრული განყოფილებით.

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

12 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე შედგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრის პროპაგანდისტთა სემინარი თემაზე: „ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები: ვ. ი. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, ი. ბ. სტალინის წიგნი — „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“. სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი ი. შარაშენიძე.

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 12 ნოემბერს აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის ვ. გაგოიძის საჯარო ლექციას თემაზე: „ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირში“. ლექცია შედგება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) საღამოს 8 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ VII ᲡᲔᲡᲘᲐ

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). 7 ნოემბერს სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა განხილვა საკითხისა სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის შესახებ და ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტისა, რომელიც ინდოეთისა და 14 სხვა ქვეყნის დელეგაციებმა შეიტანეს.

აფრიკის, აზიის ქვეყნებისა, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში დაგმეს რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს. მაგალითად, ლიბერიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის გეგმების მიზანია ჯერ ეკონომიურად ჩაახშოს ინდური მოსახლეობა, ხოლო შემდეგ საერთოდ მოსპოს იგი. მსოფლიოში მშვიდობა მანამდე ვერ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ იარსებებს რასობრივი ჩაგვრა, განაცხადა დასასრულ ლიბერიის წარმომადგენელმა. ეგვიპტის წარმომადგენელმა, მხარი დაუჭირა 15 ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილ წინადადებას და განაცხადა, რომ ჩაგრული ხალხების გამოღვიძება, მათი ბრძოლა ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებაა.

პოლონეთის წარმომადგენელმა მიხალოვსკიმ გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი უუნარობისათვის — მიაღწიოს სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა დევნის შეწყვეტას.

კორეაში

კორეაში ომისთვის დასჭირდა, რომ მიეჩქმალა სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნებაზე უარის თქმა.

სხდომაზე გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ა. მ. ბარანოვსკი, რომელმაც ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც კორეაში ამერიკის აგრესიაში მონაწილეობენ, არა სურთ გამოძებნონ კორეის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა და კორეაში ომის განგრძობას ემხრობიან.

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 10 ნოემბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

ამერიკულმა გაზეთებმა წინასწარ გამოაქვეყნეს ცნობა, რომ 10 ნოემბერს დანიშნულია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა და აღნიშნეს, რომ მისი სიტყვა დიდ ინტერესს იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში და რომ იგი გავლენას იქონიებს გენერალური ასამბლეის სესიაზე კამათის შემდგომ მსვლელობაზე.

ა. ი. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში შეაჯამა პოლიტიკურ კომიტეტში კორეის საკითხის განხილვის ორი კვირის შედეგები და ამხილა აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც კორეაში ახორციელებენ შეერთებული შტატებისა და იმ სახელმწიფოთა მმართველი წრეები, რომლებიც ამ პოლიტიკას მისდევენ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ცხადყო, რომ შეერთებული შტატების მმართველ წრეებს არა სურთ კორეის ომის შეწყვეტა, მთელ თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ არა დაზავების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისაკენ, არამედ ამ მოლაპარაკების ჩაშლისა და კორეაში უსამართლო აგრესიული ომის განგრძობისაკენ.

ამხ. ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასასრულს დაუზუსტა საბჭოთა დელეგაციის მიერ 29 ოქტომბერს შეტანილი რეზოლუციის ტექსტი. ეს დაზუსტება ეხება იმ სახელმწიფოთა ჩამოთვლას, რომელთა წარმომადგენლები უნდა შევიდნენ კორეის საკითხის მშვიდობიანად მოწესრიგების კომისიის შემადგენლობაში (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, სსრ კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ბირმა, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთი კორეა) და ხსენებული კომისიის ფუნქციების განსაზღვრას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის სიტყვა ხალხთან გაჟეღილმა დარბაზმა დიდი ყურადღებით მოისმინა. უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის მსვლელობაში სცადეს შეესესტტებინათ საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის სიტყვით გამოწვეული შთაბეჭდილება. ა. ი. ვიშინსკის სიტყვას აწყვეტინებდნენ დიდი ხმაურით, რომელიც მეზობელი შენობიდან მოისმოდა. ხმაური მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც ვიშინსკიმ მოიხოვა, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს მიეღო ზომები წესრიგის დასამყარებლად, და განაცხადა, წინაღმდეგ შემთხვევაში უარს ვიტყვი სიტყვის განგრძობაზეო.

ᲖᲠᲘᲣᲒᲕᲔ ᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 10 ნოემბრის დღის პლენარული სხდომის დაწყებისას ტრიუგვე ლიმ წაიკითხა თავისი წერილი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი. ამ წერილში ტრიუგვე ლი აცხადებს, რომ განზრახული აქვს გადადგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „გენერალური მდივნის“ პოსტიდან.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ლონდონი, 8 ნოემბერი. (საკდესი). თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათში გამოსულმა ლეიბორისტმა დრაიბერგმა მოითხოვა, რომ როგორც კი კორეაში მიღწეულ იქნება დაზავება, ხოლო შესაძლებელია უფრო ადრეც, იდენმა განაახლოს მოლაპარაკება ამერიკის მთავრობასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეყვანის შესახებ.

დრაიბერგმა გამოთქვა შიში, „განზრახ ხომ არ აყოვნებს“ გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების სარდლობა მოლაპარაკებას დაზავების შესახებ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ამერიკელების მიერ მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია მეტად მცირეა და სიმართლეს არ შეეფერება და რომ მეტისმეტად სასტიკი ცენზურა ძლიერ უშლის ხელს კორესპონდენტთა მუშაობას.

„ჩვენ ვიცით, — განაცხადა დრაიბერგმა, — რომ ორივე მხარემ გააკეთა დათმობა, მაგრამ საკმაოდ უცნაურია, რომ ყოველთვის, როცა დაზავების შესახებ მოლაპარაკება თითქოს წარმატების მიჯნაზეა, გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების სარდლობა რაღაც გამომწვევ მოქმედებას მიმართავს“. მაგალ